# შირაქი

SHIRAKI

№42 (10.001)

14-20 ნოემბერი 2021 წელი

ფასი: 60 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი


# ქვეყანა „მწვანე პასპორტების“ მოლოდინში

საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, პირველი დეკემბრიდან ე.წ. მწვანე პასპორტები ამოქმედდება. როგორც პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა ბრიფინგზე ისაუბრა, დეკემბრიდან მოქალაქეები კონკრეტულ დაწესებულებებში მწვანე პასპორტების გარეშე ვეღარ შევლენ, თუმცა ეს გავრცელდება დაწესებულებების სტუმრებზე და არა იქ მომუშავე პერსონალზე.

## რა არის მწვანე საშვი?

კოვიდგადატანილ ან აცრილ ადამიანებს, ასევე მათ, ვისაც 72 საათის განმავლობაში ჩატარებული აქვთ PCR ტესტი, ან 24 საათის განმავლობაში - სწრაფი ტესტი, „მწვანე სტატუსი“ ენიჭებათ.

ამ სტატუსის დოკუმენტური დადასტურება არის მწვანე საშვი/პასპორტი. ეს სპეციალური QR-კოდიანი ფურცელია, რომელიც ავლენს, რომ ადამიანი მის გარშემო მყოფთათვის კოვიდუსაფრთხოა.

## სად მოითხოვენ და სად არა მწვანე საშვს?

მწვანე საშვს/პასპორტს არ მოგთხოვენ ისეთ ადგილებში, სადაც თქვენი ყოფნა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, მაგალითად, კლინიკაში შესვლისას ან საზოგადოებრივ ტრანსპორტში ასვლისას, არც მაღაზიაში პროდუქტის ყიდვისას. ეს დოკუმენტი დასჭირდება 18 წლის ზევით ყველა მოქალაქეს, თუ თავშეყრის ისეთ ადგილებში უნდათ მოხვედრა, სადაც გადაუდებელ სერვისებს არ სთავაზობენ, მაგალითად, კაფეში, კინოში, მუზეუმში, ფიტნესკლუბში.

## სად ავილო მწვანე საშვი?

მწვანე საშვს/პასპორტს გასცემს ყველა ის დაწესებულება, რომელიც ატარებს ტესტირებას და აცრას, ასევე, იუსტიციის სახლი.

## მწვანე საშვი ქაღალდზე უნდა ამოვბეჭდო,თუ შემიძლია ელექტრონულადაც ვიქონიო?

საკოორდინაციო საბჭოს სხდომის შემდეგ გამართულ ბრიფინგზე ითქვა, რომ რამდენიმე დღეში ამუშავდება აპლიკაცია, რომელიც ციფრულად დაადასტურებს ან უარყოფს თქვენს მწვანე სტატუსს.

ამჟამად ასევე ფუნქციონირებს ვებგვერდი - covidpass.moh.gov.ge, რომლის მეშვეობითაც ნებისმიერ ადამიანს შეუძლია პირადი მონაცემების შეყვანის შემდეგ თავისი სტატუსის გადამოწმება.

ანუ ადამიანს, რომელიც მიდის მისთვის სასურველ რომელიმე დაწესებულებაში, სადაც სავალდებულოა მწვანე სტატუსის ქონა, შეუძლია წარადგინოს აცრის ან ტესტირების დროს მიღებული QR-კოდიანი ფურცელი და ასევე დაადასტუროს თავისი „მწვანე“ სტატუსი ელექტრონული ვერსიით (ვებსაიტიდან და აპლიკაციიდან, რომელიც დააანონსეს საბჭოზე).

## რამდენი ხანი აქვს ვადა მწვანე საშვს?

PCR ტესტის მეშვეობით ავტომატურად იღებთ მწვანე სტატუსს, 72 საათის განმავლობაში, ცნობას კი გაძლევთ ლაბორატორია კოვიდუარყოფითი პასუხის შემთხვევაში, ასევეა 24 საათის განმავლობაში სწრაფი ტესტის შემთხვევაში. აცრის შემთხვევაში არ დაგჭირდებათ 72 ან 24 საათში ერთხელ ტესტების გაკეთება და მწვანე სტატუსი საიტზე იმავე წუთებში აისახება.

## ვინ შეამოწმებს?

შეამოწმებენ ისევ ის ორგანოები, რომლებიც აქამდე აკონტროლებდნენ კოვიდრეგულაციების დაცვის წესს - შრომის ინსპექცია, მერიის ზედამხედველობის სამსახური და პოლიცია.

## რა მოხდება,თუ ამ რეგულაციას დავარღვევ?

რეგულაციის დამრღვევი მოქალაქე 2 ათასი ლარით, კომპანია კი 10 ათასი ლარით დაჯარიმდება.

## რა დამიჯდება საშვის აღება?

თავად მწვანე საშვის - QR-კოდიანი ფურცლის აღება უფასოა, ისევე როგორც ვაქცინაცია, თუმცა PCR ან სწრაფი ტესტის გაკეთება საკუთარი ხარჯებით მოგიწევთ.

C M Y K

# „მიმდინარეობს პროექტები, რომლებიც მოსახლეობის ყოველდღიურობას გააუმჯობესებს“

„დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში მოსახლეობამ დიდი მხარდაჭერა გამოუცხადა „ქართული ოცნების“ გუნდს და მათ შორის, მეც, მესამედ გამომიცხადა ნდობა. ჩვენ უკვე გამოცდილები ვართ, ვიცით, რა უნდა გავაკეთოთ“, - ამის შესახებ დედოფლისწყაროს მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა, საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილისა და ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში გამარჯვებული მერების შეხვედრის შემდეგ განაცხადა, რომელიც მთავრობის ადმინისტრაციაში გაიმართა. მისი თქმით, მიმდინარეობს მსხვილი პროექტები, რომელიც მოსახლეობის ყოველდღიურობას გააუმჯობესებს.

**„პირველ რიგში, აღსანიშნავია, სასმელი წყლის პრობლემის მოგვარება, რომელიც მომავალ წელს დასრულდება და პირველად, დედოფლისწყაროს ისტორიაში, მთელს მუნიციპალიტეტს ექნება 24 საათიანი წყალი. გარდა ამისა, მიმდინარეობს სხვადასხვა ტიპის სამუშაოები, იქნება ეს საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, საბავშვო ბაღებში მდგომარეობის გამოსწორება, თუ სხვა იმ საჭიროებებისა და პრობლემების აღმოფხვრა, რომელიც ჩვენს მოსახლეობას აწუხებს და რომელიც აუცილებლად გადაიჭრება, იმიტომ, რომ ადგილობრივი თვითმმართველობა ყველაზე ახლოს არის თავის მოსახლეობასთან და ყველაზე მეტად ვიცით, რა არის ის პრობლემები, რომლის გადაჭრაც ხელს შეუწყობს ჩვენი მუნიციპალიტეტის განვითარებას“,** - აღნიშნა დედოფლისწყაროს მერმა.

# ჰუმანური შრომითი პოლიტიკა – რას ნიშნავს შრომით ბაზარზე გამოჩენილი ახალი ტენდენცია

ბოლო პერიოდში მუდმივად, ხოლო კოვიდპანდემიის დროს – განსაკუთრებით, აქტუალურია შრომითი უფლებები, თუმცა იცავენ თუ არა დამსაქმებლები დასაქმებულთა უფლებებს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად, ყოველთვის კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. ამ საკითხზე „ინტერპრესნიუსი“ ესაუბრა ადვოკატ ანა სამსონიას – კოლექტიური შრომითი დავის მედიატორს, სამართლის ჯგუფის დირექტორს.

**ბოლო წლებში განსაკუთრებით აქტუალური ხდება შრომითი უფლებები. თქვენი აზრით, რა არის ამის მიზეზი?**

ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ საქართველომ იკისრა რიგი ვალდებულებები, რომელთა შესრულებაც დაწყებულია, მაგალითად, ამოქმედებულია ცვლილებები შრომით კანონმდებლობაში, რაც დასაქმებულებს მეტ შესაძლებლობებსა და გარანტიებს აძლევს. პარალელურად, იზრდება ცნობიერების დონე, რაც უფლებების დაცვის მიზნით, სხვადასხვა აქტივობებს ახალისებს, ხდება შრომის ინსპექციისადმი მიმართვა, კოლექტიური დავისას მედიაციის გამოყენება, სასამართლოსადმი მიმართვა და სხვ.

**რა არის ის თანამედროვე სტანდარტები, რომლებსაც უნდა ითვალისწინებდეს დამსაქმებელი?**

დღეს ისე, როგორც არასდროს, აქტუალურია ე. წ. ჰუმანური შრომითი პოლიტიკა. სულ უფრო იხვეწება ადამიანის უფლებების დაცვის მექანიზმები, ხდება მოქნილი და ადამიანზე ორიენტირებული. დამსაქმებლებისთვის მეტად ცხადი ხდება, რომ ჰუმანური შრომითი პოლიტიკის შექმნა და განხორციელება პირდაპირ უკავშირდება მისი ბიზნესის ფინანსურ წარმატებას. კონვენციებთან, დირექტივებთან ერთად თანამედროვე მენეჯმენტის სახელმძღვანელოებიც ხაზგასმით უთითებენ მენეჯმენტებს ჰქონდეთ ისეთი საკითხები გათვალისწინებული, როგორიცაა, მაგალითად: გამჭვირვალობა, დასაქმებულთა ჩართულობა, უთანხმოების განხილვის შიდა ორგანოს არსებობა, ისეთი პრაქტიკული ინსტრუმენტების ქონა, რომლებიც თავიდანვე ხელს უწყობს ინფორმირებულობას, დიალოგს, კონსესუსს და სხვ.

**რას გულისხმობთ ჰუმანურ შრომით პოლიტიკაში და როგორ უნდა დანერგოს დამსაქმებელმა კომპანიაში?**

სამართლებრივად საკმაოდ ბევრი ბერკეტი არსებობს საიმისოდ, რომ კომპანიაში დაინერგოს ჰუმანური შრომითი პოლიტიკა. ჰუმანური შრომითი პოლიტიკის შესაქმნელად მნიშნელოვანია იურისტის ჩართულობა. ამაზე მუშაობა გუნდური პროცესია და მნიშვნელოვანია მენეჯმენტთან ერთად მთელი გუნდის ჩართულობა, ეს შესაძლებელია წარმომადგენლების მეშვეობით, კერძოდ, ყველა რგოლის წარმომადგენლის ჩართულობით. ჰუმანური შრომითი პოლიტიკა უნდა ითვალისწინებდეს ურთიერთობის სპეციფიკას, საჭიროებებს და სხვ. სრული სურათის აღსაქმელად მნიშვნელოვანია ინდივიდუალური მიდგომა, შიდა სპეციფიკის იდენტიფიცირება, ინტერვიუები სხვადასხვა/ყველა რგოლის დასაქმებულთან.

**უშუალოდ რა ცვლილებები შეიძლება მივიღოთ ახალი თანამედროვე სტანდარტებით?**

ეს საკმაოდ შემოქმედებითი პროცესია, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სავალდებულო მოთხოვნების გარდა, დამსაქმებელი შესაძლოა იყოს ორიგინალური და თავად ჩამოაყალიბოს ისეთი შრომითი პოლიტიკა, რომელიც მას საუკეთესო ბრენდად აქცევს და მეტად კონკურენტუნარიანს გახდის. მაგალითისთვის, ე. წ. წორკ-ლიფე ბალანცე-ის საკითხები, დეკრეტული შვებულებისა თუ day off-ების ოდენობები, ჯანდაცვის პირობები, მოქნილი სამუშაო გრაფიკები და ადგილები, სხვადასხვა ბენეფიტები, რომელთა მოძიებაც ხშირად თავად კომპანიის შიგნითაა შესაძლებელი. მნიშვნელოვანია დასაქმებულთა ჩართულობის უზრუნველყოფა, ამის ინსტრუმენტებია მრავალფეროვანი საკომუნიკაციო არხები, მათ შორის ანონიმური, პრეტენზიის განხილვის მიზნით შიდა მედიაციის ჯგუფები, ყველაფერი იმისთვის, რომ დასაქმებული იყოს ჩართული, მისი ხმა და საჭიროებები - გაგებული, თავიდანვე და არა მაშინ, როცა ეს უკვე კრიზისულ ზღვარს უახლოვდება, სადავო სიტუაციის პრევენციის მიზნით, მნიშვნელოვანია შესაძლო დარღვევის გამოვლენა/შესწავლის გამჭვირვალე ფორმატების შექმნა და სხვ.

**ვისგან შეიძლება ასეთი რჩევების ან მომსახურების მიღება?**

ჰუმანური შრომითი პოლიტიკის ჩამოყალიბება დამსაქმებლის წარმატებაში დიდ როლს თამაშობს. ინდივიდუალური კონცეფციების ჩამოსაყალიბებლად აუცილებელია იურისტის ჩართულობა, რათა მოხდეს მოქმედი კანონმდებლობის აუცილებელი მოთხოვნებისა და საერთაშორისო კარგი პრაქტიკის გათვალისწინება. მნიშვნელოვანია, იქმნებოდეს დოკუმენტი არა ფორმალური მოთხოვნების შესასრულებლად, არამედ იმ რეალობის ასახვისთვის, რა ცხოვრების წესიც კომპანიას ექნება.რაც უფრო რეალურია, მაგალითად, შინაგანაწესი, მით უფრო წარმატებულია საქმიანობა. კორპორაციული იდენტობისათვის ამ საკითხზე დროისა და რესურსის დახარჯვა, არა მხოლოდ კორპორაციული კულტურისა და საკანონმდებლო მოთხოვნების ნაწილია, არამედ მომგებიანობის თვალსაზრისითაც საყურადღებო როლს თამაშობს. ჩვენი გუნდი მზად არის დაეხმაროს დამსაქმებლებს ჰუმანური შრომითი პოლიტიკის შექმნასა და განხორციელებაში.

# საფრანგეთში ქართველების ლეგალურად დასაქმება გადავადდა

საქართველოდან საფრანგეთში ლეგალურად დასაქმების საკითხი გადავადდა.

ამის მიზეზი კი, როგორც „ბიზნესპრესნიუსს“ დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოში განუცხადეს, კოვიდპანდემიის გამო ქვეყნებს შორის მოგზილოგის შეზღუდვა გახდა.

„საქართველოს მთავრობასა და საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის კვალიფიციური სპეციალისტების ბინადრობისა და ცირკულარული მიგრაციის შესახებ“ - შეთანხმების ეფექტიანი განხორციელების მიზნით მიმდინარეობს სამუშაოები ფრანგულ მხარესთან, საიმისოდ, რათა საერთაშორისო ორგანიზაციების მონაწილეობითა და ჩართულობით უფრო აქტიური გახდეს პროცესი. თუმცა, ხსენებული შეთანხმება დღესაც აძლევს საშუალებას ინდივიდუალურ, კერძო პირებს ისარგებლონ დოკუმენტში გათვალისწინებული შესაძლებლობებით.

2020 და 2021 წელი, კორონა პანდემიის გათვალისწინებით, ცხადია რომ არის წლები, როდესაც გადაადგილება/მობილობა განსაკუთრებით იყო/არის შეზღუდული. საზღვარგარეთ დროებითი ლეგალური დასაქმება პირდაპირ არის კავშირში ზემოხსენებულ ფაქტორებთან და შესაბამისად მოახდინა გავლენა პროცესის ტემპსა და მოლოდინებზე.

თავად ის ფაქტი, რომ მიუხედავად არსებული ვითარებისა, ცირკულარული, დროებითი ლეგალური მიგრაციის სახელმწიფოთაშორისი სქემების განხორციელება საქართველომ სწორედ ამ რთულ პერიოდში დაიწყო, ეს ხაზს უსვამს მსოფლიოს განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნების მხრიდან ნდობასა და პარტნიორობის მაღალ ხარისხს”- განუცხადეს დასაქმების სააგენტოში ,,ბიზნესპრესნიუსს“.

ინფორმაციისთვის, საქართველოს მოქალაქეებს, ლეგალურად დასაქმების შესაძლებლობა გერმანიაში, ისრაელსა და საფრანგეთში აქვთ. ამ ეტაპზე გერმანიაში დროებით სეზონურად დასაქმების პროექტი მიმდინარეობს და საქართველოს მოქალაქეებს გამგზავრებაც შეუძლიათ. რაც შეეხება ისრაელს, პროგრამა 2021 წლის 12 აპრილს ამოქმედდა. თუმცა დღემდე ვერ შეირჩა კანდიდატი, რომელიც ისრაელში სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში დასაქმდება. ჯანდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, ისრაელში სამუშაოდ წასვლის მიზნით სამინისტროში 125 განაცხადია შესული, მაგრამ აპლიკანტებმა მოთხოვნები ვერ დააკმაყოფილეს.

შეგახსენებთ იმასაც, რომ საფრანგეთში საქართველოს მოქალაქეების დასაქმება იგეგმებოდა მშენებლობაზე, სასტუმრო და სარესტორნო ბიზნესში; ელექტრო მრეწველობაში; ლოჯისტიკასა და სხვა სფეროებში.

# ავიცრათ ერთმანეთისთვის !

***11 ნოემბერს, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტთან თანამშრომლობითა და კოორდინირებით, კამპანია „ავიცრათ ერთმანეთისთვის“ ქალაქ დედოფლისწყაროსა და სოფ. არბოშიკშიც ჩატარდა. რა კამპანიაა და რას ემსახურება ის?***

საქართველოს გაეროს ასოციაციამ, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრთან National Center for Disease Control & Public Health, Georgia (NCDC & PH) თანამშრომლობით და ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციისა (WHO) World Health Organization (WHO) და ევროკავშირის European Union in Georgia ფინანსური მხარდაჭერით, მასშტაბური საინფორმაციო კამპანია დაიწყო. საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში, შეხვედრები და ტრენინგები ტარდება საქართველოს სოფლების მაცხოვრებლებთან, შემდეგ ხუთ რეგიონში:

***კახეთი**
***სამეგრელო**
***ქვემო ქართლი**
***აჭარა**
***იმერეთი**

შეხვედრის ფარგლებში მონაწილეებს ჰქონდათ შესაძლებლობა დაესვათ შეკითხვები და მიეღოთ პასუხები ვაქცინაციასთან დაკავშირებულ მათთვის აქტუალურ საკითხებზე. შეხვედრაზე განხილული იყო ყველა ის მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც პანდემიას, მის პრევენციას, აცრასა და აცრის მნიშვნელობას ეხება. შეხვედრას უძღვებოდა ზურაბ ალხანიშვილი, **გაეროს ასოციაციის საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამების კოორდინატორი,** რომელმაც მონაწილეებს მიაწოდა ამომწურავი ინფორმაცია საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და COVID19-ის საწინააღმდეგო ვაქცინების შესახებ: **„დღევანდელი შეხვედრა ეს არის იმ ციკლის ნაწილი, რომელიც საქართველოს გაეროს ასოციაციის ორგანიზებით იმართება, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგზანიზაციასთან, დაავადებათა კონტროლის ცენტრთან და ევროკავშირთან თანამშრომლობით. ჩვენი ერთადერთი მიზანია, რომ შევხვდეთ მოსახლეობას, მოვუსმინოთ მათ და მათი წუხილების, მათი შეკითხვების შესაბამისად მივაწოდოთ ინფორმაცია, კოვიდის,როგორც დაავადების და ასევე ვაქცინაციის შესახებ. ყველამ ვიცით, რომ ამ პროცესში არსებობს უამრავი შეკითხვა, რომლის პარალელურადაც არსებობს ძალიან დიდი დეზინფორმაციული ნაკადი. შესაბამისად, გვინდა, რომ ადამიანებმა გადადგან გააზრებული ნაბიჯები. სწორედ ამიტომ, საჭიროა, რომ მათ ამ გადაწყვეტილების მიღებაში აუცილებლად ეხმარებოდეთ მტკიცებულებებზე დაფუძნებული ინფორმაცია. ვფიქრობ, შეხვედრა ძალიან საინტერესო, აუდიტორია კი ძალიან აქტიური იყო. ეს შეხვედრა გახლდათ კიდევ ერთი მაგალითი იმისა, რომ ადამიანებს ბევრი ისეთი შეკითხვა აქვთ, რომელთა პასუხებშიც დარწმუნებულები ჯერ კიდევ არ არიან. მიხარია, რომ ამ შეკითხვებზე ისინი ძალიან გულახდილად საუბრობდნენ.“**

შეხვედრა ქ.დედოფლისწყაროში

შეხვედრა სოფელ არბოშიკში

შეხვედრას დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროს წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ხელმძღვანელმა მარიეტა გონაშვილმა, შეხვედრა საკმაოდ დადებითად შეაფასა და აღნიშნა: **„ძალიან მნიშვნელოვანი იყო ეს შეხვედრა, ძალიან კარგად იყო განმარტებული ამ ეპიდემიის საშიშროება და ვაქცინაციის აუცილებლობა. მოსახლეობაში ძალიან ხშირად ისმის კითხვები, რომელიც სოციალური ქსელებიდან მიღებული გარკვეული ინფორმაციიდანაა გამოწვეული. აქედან გამომდინარე, ყველა შეკითხვა რაც აწუხებდათ, მათ საზოგადოებრივი ჯანდაცვის წარმომადგენლებს დაუსვეს. ვფიქრობ, ძალიან ამომწურავი და გასაგები პასუხები იყო, რისთვისაც დიდი მადლობა მათ. ნამდვილად საჭირო იყო ასეთი ტიპის შეხვედრა. დღეს დღეობით მუნიციპალიტეტის 31%-ია სრულად ვაქცინირებული, დაახლოებით 30% კი გადაიტანა კოვიდი. მივმართავ მოსახლეობის გარკვეულ, აუცრელ პროცენტს: ერთადერთი რაც დაგვიცავს ჩვენ ამ პანდემიისგან არის ვაქცინაცია. ვაქცინაცია არის უსაფრთხო, რაც შეხვედრაზეც ძალიან კარგად იყო განმარტებული. მოგიწოდებთ, ვაქცინაციისკენ!**

მაია ლამაზოშვილი, **სოფელ არბოშიკის ქალთა და ახალგაზრდობის საინიციატივო ჯგუფის ხელმძღვანელი: „ძალიან საინტერესო, აუცილებელი და საჭირო შეხვედრა იყო. აუცილებელია, რომ თითოეულ ადამიანამდე მივიდეს ამ ტიპის ინფორმაცია. ძალიან სრულყოფილად ისაუბრეს, დეტალურად, ვაქცინის შექმნის ტექნოლოგიამდე იყო ახსნილი, იმდენად ამომწურავი იყო მოწოდებული ინფორმაცია. ვფიქრობ, რომ აუცილებელი და საჭიროა მოსახლეობისთვის ამის ცოდნა, რათა ენდონ და მხარი დაუჭირონ ამ პროცესს. მე სრულად ვემხრობი აცრას, ვაქცინირებულიც ვარ. გარდა ამისა, დედა მყავს დიაბეტით დაავადებული და ისიც ავცერი ორჯერ. ვაქცინაცია არის გამოსავალი, რომ დავასრულოთ ეს პანდემია!“.**

ვაქცინაცია სწორი არჩევანია კოვიდ-19-გან საკუთარი თავის, ოჯახისა და საზოგადოების დასაცავად. ვაქცინაცია ამცირებს დაინფიცირების, მძიმე ავადობისა და სიკვდილის რისკებს. ვაქცინაცია პანდემიის შეჩერების ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური საშუალებაა. ავიცრათ სიცოცხლის გადასარჩენად!

ჟუჟუნა ყანჩაშვილი

# დედოფლისწყაროს ესტონელები სტუმრობდნენ

**დედოფლისწყაროს ტურიზმის განვითარების ასოციაცია სისტემატურად ზრუნავს რეგიონში არსებული ტურისტული პროდუქტების გაუმჯობესებასა და ახალი პროდუქტების შექმნაზე.**

მიმდინარე წელს ასოციაციამ ესტონეთის სოფლის ტურიზმის ასოციაციასთან ერთად ესტონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით დაიწყო პროექტის „სოფლის ტურიზმის პროდუქტის განვითარება დედოფლისწყაროს რაიონში, საქართველოში“ განხორციელება. პროექტი დასრულდება 30.09.2023 წელს, მისი მიზანია დედოფლისწყაროს რაიონში ტურისტული სერვისებისა და პროდუქტის ხარისხის დონის ამაღლება ადგილობრივი ტურისტული მეწარმეების ცნობიერების ამაღლების, ცოდნისა და უნარების გაუმჯობესების გზით.

პროექტის ფარგლებში დაგეგმილია ადგილობრივი მეწარმეების სწავლება, პრიორიტეტულია პროექტში ახალგაზრდების და ქალი მეწარმეების ჩართვა, ტურისტული სერვისებისა და პროდუქტების ხარისხის მართვის ადგილობრივი ექსპერტების მომზადება, ხარისხის კრიტერიუმებისა და სისტემის განვითარება და შესაბამისი დოკუმენტის მომზადება ინგლისურ და ქართულ ენებზე, ხარისხის სისტემის ვიზუალური იდენტურობის შექმნა, თანამედროვე ტურისტული პროდუქტის შექმნა, განვითარება და გაყიდვა, სასწავლო პროგრამა სოფლის ტურიზმის მეწარმეებისთვის, სასწავლო ვიზიტი ესტონეთში ქართული ჯგუფისთვის, პრაქტიკული სახელმძღვანელოს მომზადება ხარისხის კონსულტანტებისა და მეწარმეებისთვის.

ეს პროექტი ხელს შეუწყობს, როგორც ტურიზმის ბიზნესში უკვე ჩართული ადგილობრივი მეწარმეების სწავლებას, ისე პრაქტიკული რჩევებით დაეხმარება დამწყებ დაინტერესებულ მეწარმეებს, მათი იდეების ჩამოყალიბებაში და დახვეწაში სოფლის ტურიზმის განვითარების მიმართულებით.

1-5 ნოემბერს დედოფლისწყაროს ეწვივნენ ესტონეთის სოფლის ტურიზმის ორგანიზაციის წარმომადგენლები: **ბორდის თავმჯდომარე ქ-ნი რაილი მენგელი, პროექტის მენეჯერი ქ-ნი სილია ლეჰტპუუ, საბჭოს თავმჯდომარე ქ-ნი ანელი კანა, ექსპერტი ქ-ნი კატრინ პაპი.**

პროექტის მიმდინარეობის ამ ეტაპზე შეიქმნა ადგილობრივი ექსპერტების ჯგუფი, რომელიც გაეცნო ესტონეთის სოფლის ტურიზმის ობიექტების გამოცდილებას ეკოტურიზმის ხარისხის ნიშნის გამოყენების, განთავსების საშუალებების, საფეხმავლო ბილიკების, კულინარიული მარშრუტების ობიექტების და სხვა ტიპის ტურისტული პროდუქტების ხარისხის კრიტერიუმებს.

ვიზიტის ფარგლებში სტუმრები იმყოფებოდნენ საქართველოს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციაში, სადაც შეხვდნენ ადმინისტრაციის ხელმძღვანელ პირებს: ქალბატონებს- თამარ ყორიაულს და თამარ მაისურაძეს. შემდეგი შეხვედრა გაიმართა საქართველოში ესტონეთის საელჩოში ქ-ნ ნინო კარანაძესთან.

ვიზიტის დროს სტუმრებმა მოინახულეს რამდენიმე ადგილობრივი ბუნების ძეგლი, განთავსების და აგროტურისტული ობიექტი.

ექსპერტთა ჯგუფმა დაიწყო მუშაობა ადგილობრივი ობიექტების ხარისხის კრიტერიუმების შექმნაზე ესტონელ კოლეგებთან ერთად.

ასოციაცია იწვევს დაინტერესებულ პირებს თანამშრომლობისთვის

E·E·S·T·I MAATURISM
ESTONIA DEVELOPMENT COOPERATION
დედოფლისწყაროს ტურიზმის განვითარების ასოციაცია
DEDOPLISTSKARO TOURISM DEVELOPMENT ASSOCIATION

# „ფარმაცევტული ბაზრის დარეგულირების მიზნით აქტიური შეხვედრები დაიწყება“

**„ფარმაცევტული ბაზრის დარეგულირების მიზნით აქტიური შეხვედრები დაიწყება, მათ შორის სექტორის მონაწილეებთან“,** - ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა, საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარესთან, ირაკლი ლექვინაძესთან შეხვედრისას განაცხადა.

შეხვედრაზე კონკურენციის სააგენტოს მიერ მომზადებული ფარმაცევტული ბაზრის შუალედური ანგარიში განიხილეს. მთავრობის მეთაურის თქმით, აღნიშნული საკითხი მაქსიმალურად გამჭვირვალე უნდა გახდეს.

**„მე გავეცანი ფარმაცევტული ბაზრის შუალედურ ანგარიშს, რომელიც თქვენ მოამზადეთ. ნამდვილად საინტერესოა თქვენი ანგარიში, ამიტომ დავიწყოთ მუშაობა. მე მინდა აღნიშნული საკითხი გავხადოთ მაქსიმალურად გამჭვირვალე. დავიწყოთ დიალოგი ამ დარგის წარმომადგენლებთან, ძირითად მოთამაშეებთან. ასევე, ვაპირებ, რომ ეკონომიკური საბჭოს ფორმატშიც დავიწყოთ აქტიური მუშაობა ამ საკითხის დარეგულირების მიზნით“,** - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

როგორც პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, წამლების ფასი მოსახლეობას ძალიან აწუხებს და საზოგადოებაში არსებობს კითხვები, ამიტომ საჭიროა ამ საკითხის შესწავლა და პროცესი უნდა იყოს მაქსიმალურად გამჭვირვალე. ამ მიზნით დაიწყება აქტიური შეხვედრები და მჭიდრო დიალოგი სექტორის წარმომადგენლებთან იმისთვის, რომ არც ერთი კითხვა არ დარჩეს უპასუხოდ.

როგორც კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარემ აღნიშნა, ფარმაცევტული ბაზრის შუალედურ ანგარიშში წარმოდგენილია რეკომენდაციები, რომელიც გულისხმობს ფარმაცევტულ ბაზარზე მეტი კონკურენციის შესაძლებლობას და მომხმარებლისთვის მედიკამენტებზე მეტ ხელმისაწვდომობას.

**„ჩვენ გვაქვს წარმოდგენილი ის ძირითადი მიგნებები და ჩვენი შუალედური ანგარიში მოიცავს 2016-2020 წლის პერიოდის ანგარიშს და შესაბამისად, ჩვენს მიერ გაკეთებული ანალიზის საფუძველზეა წარმოდგენილი ის რეკომენდაციების პაკეტი, რომელიც ორი მიმართულებით შეგვიძლია განვიხილოთ. პირველი, ეს გულისხმობს ბაზარზე არსებული მაღალი კონცენტრაციისა და არსებული ჰოლდინგური სტრუქტურის ზეგავლენის შეფასებას და მათ განეიტრალებას, იმისათვის, რომ მეტი კონკურენცია იყოს მომხმარებლისთვის და მეტი ინფორმირებული არჩევანი ჰქონდეს მომხმარებელს იმისთვის, რომ საუკეთესო არჩევანის პირობებში მეტი დაზოგოს, როდესაც მედიკამენტებში საკმაოდ მაღალი დანახარჯების გაღება უხდება.**

მეორე მიმართულება ჩვენი რეკომენდაციებისა, ეს არის სისტემური საკითხები, მათ შორის საკანონმდებლო ცვლილებების თვალსაზრისით, რომელიც გულისხმობს

პირველ რიგში, ჩვენი შეფასებით, სარეცეპტო პოლიტიკის ცვლილებას, მის ელექტრონიზაციას და მეტი არჩევანის გაკეთებას სარეცეპტო პოლიტიკის ფარგლებში, რადგანაც, მომხმარებელს ჰქონდეს მეტი ინფორმაცია და მეტი არჩევანი ბაზარზე არსებული იმ მედიკამენტების შესახებ, რომლის შეძენაც მათ უწევთ. ამიტომ, **ჩვენ მზად ვართ, აღნიშნული შუალედური დასკვნა გავაცნოთ ყველა დაინტერესებულ მხარეს და წარმოვადგინოთ ის რეკომენდაციის პაკეტი, რაც საბოლოო ჯამში, მიგვაჩნია, რომ მეტად კონკურენტულ უნარიანს გახდის აღნიშნულ ბაზარს, რაც შესაბამისად, გარკვეულ პერიოდში უნდა აისახოს მედიკამენტების ფასებზე. აქ პირველ რიგში, მნიშვნელოვანია, რომ მომხმარებელს ჰქონდეს მეტი ინფორმირებული არჩევანი“,** - განაცხადა ირაკლი ლექვინაძემ.

# საკოორდინაციო საბჭოს ახალი გადაწყვეტილებები ცნობილია

***უწყებათაშორისმა საკოორდინაციო საბჭომ, პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ხელმძღვანელობით, „მწვანე პასპორტის“ კონცეფციის მოქმედების არეალის გაფართოებასა და ვაქცინაციის წამახალისებელ სხვა ღონისძიებებთან დაკავშირებით, ახალი გადაწყვეტილებები მიიღო.***

საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, დღეიდან, 200-ლარიან ერთჯერად საპენსიო დანამატს მიიღებს თითოეული პენსიონერი, რომელიც ვაქცინაციას 2022 წლის 1-ელ იანვრამდე ჩაიტარებს; დანამატი გაიცემა პირველი აცრის გაკეთების შემდეგ.

ამასთან, 1-ლი დეკემბრიდან ამოქმედდება ე.წ „მწვანე პასპორტის“ კონცეფცია. პირს მწვანე სტატუსი აქვს, თუ იგი ვაქცინირებულია სრულად, ჩატარებული აქვს 72-საათიანი ვალიდურობის PCR-ტესტი ან 24-საათიანი ვალიდურობის ანტიგენტესტი, ან გადატანილი აქვს კორონავირუსი. „მწვანე პასპორტის“ მოთხოვნა იმოქმედებს 18 წლის ასაკის ზემოთ მოქალაქეებისთვის.

საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, 1-ლი დეკემბრიდან მოქალაქეები მხოლოდ და მხოლოდ „მწვანე პასპორტის“ პრინციპით შეძლებენ შესვლას: კვების ობიექტების, რესტორნების, კაფეების და ბარების ღია და დახურულ სივრცეებში, კინოთეატრებში, თეატრებში, ოპერაში, მუზეუმებში, საკონცერტო დარბაზებში, გასართობ ცენტრებში, სამორინეებსა და სათამაშო ბიზნესის ობიექტებზე, სპა-ცენტრებში, ფიტნეს-დარბაზებში, სასტუმროებში და ასევე სამთო კურორტების - საბაგირო გზებზე; აღნიშნული მოთხოვნა გავრცელდება ჩამოთვლილი ობიექტების სტუმრებზე. რაც შეეხება საბავშვო-გასართობ ცენტრებს, „მწვანე პასპორტის“ მოთხოვნა იმოქმედებს მხოლოდ 18 წლის ასაკს ზემოთ მოქალაქეებისთვის.

პრემიერ-მინისტრის დავალებით, კიდევ უფრო აქტიური გახდება იმუნიზაციის კამპანია და საქართველოს მასშტაბით, ყველა მუნიციპალიტეტში გაიმართება ვაქცინაციის სააგიტაციო ღონისძიებები.

უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო კიდევ ერთხელ მიმართავს მოქალაქეებს, აქტიურად ჩაერთონ ვაქცინაციის პროცესში, ატარონ პირბადე და დაიცვან სოციალური დისტანცია, გაუფრთხილდნენ საკუთარ და ახლობლების ჯანმრთელობას.

საქართველოში კორონავირუსის პირველი შემთხვევის გამოვლენიდან დღემდე, ვირუსით ინფიცირების 755 046 ლაბორატორიულად დადასტურებული შემთხვევა გამოვლინდა, საიდანაც 693 129 პირი გამოჯანმრთელდა, გარდაცვლილია 10 509 ადამიანი.

ამ ეტაპზე კარანტინში იმყოფება 46 ადამიანი, კლინიკურ სასტუმროებში - 1 302 მოქალაქე, ხოლო სტაციონარში, მეთვალყურეობის ქვეშ - 6 916 პირი.

პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით მოქმედი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს მუშაობაში აქტიურად მონაწილეობს საქართველოს პარლამენტი და პრეზიდენტის ადმინისტრაცია.

# ამირან გამყრელიძის განცხადებით, საქართველო კორონავირუსის სამკურნალო პრეპარატების მიღებაზე მუშაობს

***დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელის, ამირან გამყრელიძის განცხადებით, საქართველო მუშაობს იმისთვის, რომ კორონავირუსის სამკურნალო პრეპარატები მიიღოს.***

როგორც მან იმუნიზაციის საბჭოს სხდომის დასრულების შემდეგ აღნიშნა, „მერკისა“ და „ფაიზერის“ პრეპარატები ვირუსის დადასტურებიდან მალევე მიღების შემთხვევაში, საკმაოდ მაღალი ეფექტურობისაა.

„ეს არის ორი ყველაზე წინგადადგმული ნაბიჯი, ერთი „ფაიზერის“ და მეორე „მერკის“. ბრიტანეთმა ჯერ „მერკის“ პრეპარატი დაამტკიცა, მაგრამ “ფაიზერს” მალე დაამტკიცებს აშშ-ის საკვებისა და წამლის ადმინისტრაცია. სხვადასხვა მექანიზმით მოქმედი პრეპარატია ორივე, მაგრამ უშუალოდ კორონავირუსზე მოქმედი პრეპარატები, რომლებსაც დაახლოებით ისეთივე მოქმედების მექანიზმი აქვს, რაც გრიპის საწინააღმდეგო პრეპერატ „ტამიფლუს“ სახელწოდებით რაც არის ცნობილი. თუ მიიღებ დაწყებისას, როცა ვირუსი დგინდება 5 დღის განმავლობაში, მაშინ ეფექტი ძალიან დიდია. დაახლოებით 80%-დან 90%-მდე ამცირებს დაავადების შემდგომ განვითარებას, გართულებას და სიკვდილიანობას. ბევრი პრეპარატია დღეს სხვადასხვა კვლევის ფაზებში, „მერკმა“ და „ფაიზერმა“ პირველმა დაასრულეს მესამე ფაზის კვლევები. მალე ისინი ბაზარზე გამოჩნდებიან. გიდასტურებთ, საქართველო მუშაობს, რომ ეს პრეპარატები მიიღოს“, - განაცხადა გამყრელიძემ.

# მსოფლიოში კორონავირუსით ინფიცირებულთა რაოდენობამ 251 მილიონს გადააჭარბა



მსოფლიოში პანდემიის დაწყების დროიდან კორონავირუსით ინფიცირებულთა საერთო რაოდენობამ 251 მილიონს გადააჭარბა. შესაბამის მონაცემებს პლატფორმა worldometers-ი აქვეყნებს. ამავე სტატისტიკის თანახმად, კოვიდ 19-ს დღემდე მსოფლიოში 5 მილიონზე მეტი ადამიანი ემსხვერპლა.

ვირუსისგან განკურნებულების რაოდენობა კი 227.4 მილიონს შეადგენს.

მსოფლიოში ამჟამად ინფიცირების 18.7 მილიონი აქტიური შემთხვევა ფიქსირდება. პანდემიის დაწყებიდან დღემდე კორონავირუსით ყველაზე მეტი - 47.4 მილიონი ადამიანი აშშ-ი დაინფიცირდა, მეორე ადგილზეა ინდოეთი 34.3 მილიონზე მეტი შემთხვევით. მათ ბრაზილია, გაერთიანებული სამეფო და რუსეთი მოჰყვებიან.

# რა მოცულობის ღვინოა ექსპორტირებული საქართველოდან?

***მიმდინარე წლის იანვარ-ოქტომბერში საქართველოდან ექსპორტირებული ღვინით მიღებული შემოსავალი 194 მლნ აშშ დოლარს აღწევს, რაც გასული წლის ანალოგიურ მონაცემზე 9%-ით მეტია, 11%-ით არის გაზრდილი ექსპორტირებული ღვინის რაოდენობაც.***

ქართული ღვინის სტრატეგიულ ბაზრებზე ექსპორტის ზრდის დინამიკა შენარჩუნებულია: პოლონეთი - 20% (4984017), ჩინეთი - 13% (4553919), აშშ - 10% (881470), გერმანია - 6% (654608), ლატვია - 4% (1440567), ლიეტუვა - 45% (837096), იაპონია - 18% (159262) და დიდი ბრიტანეთი - 72% (631504).

ქართული ღვინის საექსპორტო ქვეყნების პირველი ხუთეულია: რუსეთი, უკრაინა, პოლონეთი, ჩინეთი და ბელარუსი.

ზრდა აღსანიშნავია შემდეგ ქვეყნებში: კანადა - 84% (296992), შვედეთი - 65% (99832), ჩეხეთი - 275% (139560), ყაზახეთი - 30% (3264706), ისრაელი - 41% (368899), აზერბაიჯანი - 8% (181727), თურქეთი - 209% (93330), უკრაინა - 21% (10558377), რუსეთი - 5% (49064224), მონღოლეთი - 174% (402810), ბელარუსი - 17% (3348501) და ა.შ.

საქართველოდან სხვადასხვა მოცულობის ღვინის ექსპორტი 400-მა კომპანიამ განახორციელა.

ამასთან, საანგარიშო პერიოდში, ექსპორტირებულია 30,4 მლნ ბოთლი (0,5 ლ) ბრენდი, რაც 15%-ით აღემატება 2020 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. ბრენდის ექსპორტით მიღებულმა შემოსავალმა 57,7 მლნ აშშ დოლარს მიაღწია (ზრდა 8%).

ექსპორტირებულია 731 ათასი ბოთლი (0,5 ლ) ჭაჭა, ექსპორტის ზრდამ 90% შეადგინა. ჭაჭის ექსპორტით მიღებული შემოსავალი 1,8 მლნ აშშ დოლარს აღწევს; ზრდამ, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 77% შეადგინა.

ღვინის, ბრენდის, ჭაჭის, საბრენდე სპირტისა და ჩამოსასხმელი ბრენდის ექსპორტის შედეგად მიღებულია 310 მლნ აშშ დოლარი შემოსავალი, რაც 13%-ით მეტია გასული წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელზე.

# ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, აშშ-ში „ქართული ღვინის ფორუმი“ გაიმართა

***„ქართული ღვინის ფორუმის” ფარგლებში, ქალაქ ბოსტონში, დეგუსტაცია-სემინარი „Amber Wine Festival in Boston” ღვინის პროფესიონალებისთვის, ხოლო ქალაქ ფილადელფიაში, ქართული ღვინის დეგუსტაცია ადგილობრივი დისტრიბუტორების, იმპორტიორების, სარესტორნო ქსელებისა და მედიის წარმომადგენლებისთვის ჩატარდა. ამის შესახებ ინფორმაციას ღვინის ეროვნული სააგენტო ავრცელებს.***

ფორუმის დასკვნითი ღონისძიებას წარმოადგენდა კონფერენცია, რომელიც 9 ნოემბერს პენსილვანიის უნივერსიტეტში გაიმართა. კონფერენცია ქართული ღვინის კულტურასა და ისტორიას, მეღვინეობის სექტორში პანდემიით შექმნილ ახალი გამოწვევებს, აშშ-ის ბაზარზე ქართული ღვინის პოპულარიზაცია-რეალიზაციის სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმებს მიეძღვნა. კონფერენციაზე, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა, ლევან დავითაშვილმა საქართველოს ღვინის ინდუსტრიის მიმოხილვა ონლაინ ფორმატში წარადგინა. ღონისძიების მონაწილეებს საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი აშშ-ში დავით ბაქრაძე და ამერიკა-საქართველოს ბიზნესსაბჭოს პრეზიდენტი მამუკა წერეთელი მიესალმნენ.

„კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს ეროვნული მუზეუმის დირექტორმა, დავით ლორთქიფანიძემ, პენსილვანიის უნივერსიტეტის მუზეუმის პროფესორმა, პატრიკ მაკგოვერნმა (PATRICK MCGOVERN), ტორონტოს უნივერსიტეტის მკვლევარმა, სტეფენ ბატიუკმა (STEPHEN BATIUK) და სხვებმა. ამერიკის შეერთებულ შტატებში, ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერითა და ამერიკა-საქართველოს ბიზნესსაბჭოს ორგანიზებით, „ქართული ღვინის ფორუმი“ მეოთხედ ჩატარდა. პირველ ფორუმს, 2018 წელს, ვაშინგტონმა, 2019 წელს კი, ბოსტონმა, ჰარვარდის უნივერსიტეტის ბაზაზე უმასპინძლა; გასულ წელს, COVID-19-ის პანდემიის გამო, ღონისძიება ონლაინ-ფორმატში გაიმართა. ფორუმი, ტრადიციულად, მოიცავს სამეცნიერო კონფერენციას, რომლის ფარგლებშიც, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერ-მკვლევარები ქართული ვაზის კულტურასა და ისტორიასთან დაკავშირებულ სამეცნიერო კვლევებს წარადგენენ და განიხილავენ. ამერიკის შეერთებული შტატები ქართული ღვინის სტრატეგიულ ბაზარს წარმოადგენს, სადაც ქართული ღვინის პოპულარიზაციისა და ექსპორტის ზრდის ხელშეწყობის მიზნით, ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, სხვადასხვა მნიშვნელოვანი ღონისძიება, მათ შორის, „ქართული ღვინის ფორუმი“ იმართება. აღნიშნულმა ღონისძიებებმა მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ბოლო 6 წლის განმავლობაში ამერიკის ღვინის ბაზარზე გაყიდვების სტაბილურ ზრდას. რაც შეეხება მიმდინარე სტატისტიკურ მონაცემებს, 2021 წლის 10 თვეში, საქართველოდან აშშ-ში ექსპორტირებულია 881 ათასი ბოთლი ღვინო, რაც 10%-ით აღემატება გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელს”,- ნათქვამია ინფორმაციაში.

# შვეიცარიამ „ქართული ღვინის ფორუმს“ უმასპინძლა

**შვეიცარიის კონფედერაციის დედაქალაქ ბერნში, ფესტივალის „FERNWEH” ფარგლებში, „ქართული ღვინის ფორუმი“ გაიმართა. შვიცარიაში მსგავსი მასშტაბის ღონისძიება პირველია და ის ქართული ღვინის ცნობადობისა და ექსპორტის გაზრდის ხელშეწყობისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.**

ღვინის ფორუმს ბერნის მერი ალეკ ფონ გრაფენრიდი (Alec von Graffenried) დაესწრო და ქართული მეღვინეობის ისტორიას და ქართული ღვინის კომპანიების მიერ წარმოდგენილ ღვინოებს გაეცნო.

„ბერნში მიმდინარე ფესტივალი „FERNWEH” უცხო ქვეყნების კულტურის ადგილობრივებისთვის გაცნობას გულისხმობს. დღეს გავეცანი საქართველოს, რომელსაც აქვს ქვევრში ღვინის წარმოების 8 ათასწლიანი ტრადიცია და ისტორია, ასევე, სხვადასხვა რეგიონიდან წარმოდგენილ ღვინოებს, რომელსაც აქამდე არ ვიცნობდი. მოხარული ვარ, რომ დავესწარი ამ ფორუმს. წარმატებებს ვუსურვებ ქართულ ღვინოს შვეიცარიაში“, - აღნიშნა მერმა.

შვეიცარიაში „ქართული ღვინის ფორუმი“ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ღვინის ეროვნული სააგენტოსა და ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მხარდაჭერითა და შვეიცარიის კონფედერაციაში საქართველოს საელჩოს, „ქართული ღვინის გალერეის“ და შვეიცარიაში „ქართული კულტურის ცენტრის“ ორგანიზებით ჩატარდა.

ფორუმის ფარგლებში, ქართული ღვინის პრეზენტაცია-დეგუსტაციას „ქართული ღვინის გალერეის“ (GeoHaus GmbH) დამფუძნებელმა ზვიად არაბიძემაც წარმოადგინა. აღსანიშნავია, რომ შვიცარიაში, ქალაქ ციურიხში, მიმდინარე წელს, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის და საქართველოს საელჩოს მხარდაჭერით, ქართული ღვინის პირველი გალარეა გაიხსნა, რომელიც ქართული ღვინის პოპულარიზაციაში საკუთარ წვლილს შეიტანს. ქართული ღვინის გალერეის გახსნის იდეა ქართველ ბიზნესმენ ზვიად არაბიძეს ეკუთვნის.

ქ. ბერნში, ღვინის პროფესიონალებსა და დაინტერესებულ პირებს, ორი დღის განმავლობაში, შესაძლებლობა ჰქონდათ გასცნობოდნენ ქართული კომპანიების მიერ წარმოდგენილ სხვადასხვა დასახელების ღვინოს. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, ფორუმში კომპანიები: „თელავის ღვინის მარანი“, „შატო მუხრანი“, „თელიანი ველი“, „შილდა“, ჩჭშ, „წინანდლის მამული“, „კონჭო და კომპანია“, „ნაბერაული“ და „ნიკოლაიშვილების ღვინის მარანი“ მონაწილეობდნენ.

ფორუმის ფარგლებში სამეცნიერო-დოკუმენტური ფილმის „საქართველო ღვინის სამშობლო“ ჩვენება გაიმართა.

# ილია ჭავჭავაძე – 184

## სიტყვა წინამძღვრიანთკარის სამეურნეო სკოლის გახსნაზე

ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან 184 წელი გავიდა. არ მეგულება საქართველოში ადამიანი, რომელიც ილია ჭავჭავაძის ღვაწლს და დამსახურებას ერის წინაშე უდიდესად არ აღიქვამდეს და არ სცემდეს მას პატივს, როგორც უდიდეს საზოგადო მოღვაწეს, პოლიტიკოსსა თუ უბრალოდ პოეტს, რომელმაც ქვეყნის ავი თუ კარგი ხელის გულზე დადო და დაგვანახა,როგორც ჩვენი სიკეთე, ისე დირე ჩვენს თვალში. ილია ჭავჭავაძეზე თითქმის ყველაფერი ვიცით. მაგრამ, ამჯერად გთავაზობთ მის წარმოთქმულ სიტყვას წინამძღვრიანთკარის სამეურნეო სკოლის გახსნაზე, რომელიც ძალიან საინტერესო, აქტუალური და მნიშვნელოვანია ,როგორც მაშინდელი, ასევე დღევანდელი საქართველოსთვის.




«ღმერთმა რომ ქვეყანა გააჩინა, დედამიწას გული გადაუხსნა, შიგ აუარებელი, ულეველი სიმდიდრე ჩაუდვა და ადამიანს უანდერძა: იშრომე, გაისარჯეო და ეგ სიმდიდრე დედამიწის გულიდამ ამოიღე და შენს სადღეგრძელოდ მოიხმარეო.

«თქვენში და თქვენგან ხშირად გამიგონია, რომ ქრისტე-ღმერთმა თავისი კალთა უხვებისა აქ, ამ ჩვენს პატარა ქვეყანაში დაიბღერტაო. ამას იმიტომ ამბობენ, რომ ჩვენი ქვეყანა ბევრს სხვა ქვეყანაზედ უფრო მდიდარია, უფრო სავსეა. არც ჩვენ თითონა ვართ უხეირონი, ღმერთი-რჯული. მკლავ-ძარღვად კარგები ვართ, ჯანი და ძალ-ღონეც მოგვდევს, არც ხალისი გვაკლია. ეს ყველაფერი გვაქვს. ეს მდიდარი, პატარძალსავით მორთული ქვეყანა, ეს ჯანიანი, მკლავ-ძლიერი ხალხი, გამრჯელი და ოფლის-მღვრელი, – მაშ რაღადა ვართ ღარიბნიო? მკითხავთ თქვენ.

«იმიტომ, რომ არ ვიცით, სად რა სიმდიდრე ძევს, სად რა განძია. არ ვიცით – საიდამ რა ამოვიღოთ, რა ხერხით და ოსტატობით ამოვიღოთ, რომ ჯაფაც ადვილი იყოს და ნაჯაფევიც ბლომად. აკი ვამბობთ, ყველაფერი გვაქვს, მარტო ერთი რამ გვაკლია, სახელდობრ – ისა, რაც თქვენისავე სიტყვით, თითონ ღონესაცა სჯობია, რაც ძლიერს მკლავს ხერხიანად ამოქმედებს, რაც კაცის თვალს დედამიწის გულში ჩაახედებს, რაც კაცს წინ მიუძღვება ხოლმე და უტყუარად ეუბნება: აი აქ ეს სიმდიდრეა, ღვთისაგან შენთვის მიბარებულიო, ამას ამ ხერხით, ამ ოსტატობით – უფრო ადვილად, უფრო ბლომად ამოიღებო.

«მაგისთანა ღვთისნიერს წინამძღოლს ცოდნა ჰქვიან. უამისოდ დედამიწა თავის უხვს და უხარბელს გულს არ გადაგვიხსნის, ისე უხვად არ მოგვაბარებს, რამოდენადაც ჩვენთვის მიბარებული აქვს. სხვა ქვეყანაში, საცა ცოდნა აქვს ხალხსა, ოთხის დღის მიწა ისე უჭირველად აცხოვრებს მთელს ოჯახს, როგორც ჩვენში ოცისა და ორმოცის დღის პატრონი ვერა სცხოვრობს. რათა? განა იმითი, რომ ისინი მკლავ-ძარღვით ჩვენა გვჯობიან!? არა, იმათ ცოდნა აქვთ, ხერხი იციან. „ხერხი სჯობია ღონესაო“, – თქვენგანვე თქმულა და მართალიც არის.

«ცოდნა ხომ ხერხია, მაგრამ თითონ, თავის-თავადაც სიმდიდრე არის, მერე იმისთანა, რომ კაცი საცა წავა, თან მისდევს უხარჯოდ და უბარგოდ, ვერცა ვინ მოჰპარავს, ვერცა ვინ წინ გადუდგება. ეხლანდელ დროში ცოდნა ყველაფერია: ფულზედაც უფრო დიდი ბაზარი აქვს, ხმალზედაც უფრო მეტადა სჭრის და ზარბაზანზედაც უფრო ძლიერია.

«ღონიერი და ჭირთა-მძლევი ის არის, ვისაც ჭკუა ცოდნით მოურთავს, ცოდნით აუყვავებია, ცოდნის ძუძუთი გაუზრდია. „კაცი უნდა ხერხი იყოს, გაჰქონდეს და გამოჰქონდესო“, თქვენგანვე მაქვს გაგონილი და დასწავლული. მართალიც არის: კაცი სხვის მარგეც უნდა იყოს და თავისთავისაც. კაცი მარტო მაშინ არის ხერხი, როცა ცოდნა აქვს, როცა ჭკუა ცოდნით გაულესია, ცოდნის ჩარხზე გაუჩარხავს. მაშინ ხერხსავით სხვისთვისაც გააქვს და თავისთვისაც შემოაქვს.

«ეგ თქვენ თითონაც კარგად იცით. თქვენ თითონ ყოველდღე ჰხედავთ, რომ ეგ ეგრეა. ალოში გუთნის-დედას მეტს არგუნებთ ხოლმე, ვიდრე მეხრესა. რათა? იმიტომ რომ გუთნის-დედა – მცოდნეა და მეხრე კი არა. ურმის-მკეთებელი უფრო მეტადა ჰღირს მოჯამაგირედ რომ დგება, ვიდრე უბრალო მუშაკაცი, თუნდაც ერთი-ორად იმაზედ მეტი იყოს მკლავითაც და ჯანითაც. რათა? კიდევ იმიტომ, რომ ურმის ხელოსანი მცოდნე კაცია და უბრალო მუშა კი არა.

«ამიტომ ვამბობ, რომ ცოდნა თითონ, თავის-თავადაც სიმდიდრეა მეთქი, მერე იმისთანა მადლიანი სიმდიდრე, რომ რაც უნდა ბევრს დაურიგო, ბევრს გაუწილადო, შენ არა დაგაკლდება-რა, თუ არ მოგემატება. ამ შემთხვევაში ცოდნა ანთებულს სანთელსა ჰგავს: ერთს სანთელზედ რომ ათასს სხვა სანთელს მოუკიდო, სანთელს იმით არც ალი დააკლდება, არც სინათლე, არც სიცხოვლე. პირიქით, იმატებს კიდეც, რადგანაც ერთის მაგიერ ათასი სხვა სანთელი იმასთან ერთად დაიწყებს ლაპლაპსა.

«სანთელს კიდევ იმაში ჰგავს ცოდნა, რომ თუნდაც ცოტად ბჟუტავდეს შორს სადმე ბნელაში, ქურდს, მპარავს, მტერს აფრთხობს, იქ სინათლეა, – სჩანს ჰღვიძავთო, და დაგვიანებულს მოყვარეს კი ახარებს კიდევ იმით, რომ იქ ღვიძილია, მღვიძარები დამხვდებიანო.

«სანთელს მარტო იმაში არა ჰგავს, რომ სანთელი, როცა იქნება, ჩაიწვის და გაჰქრება ხოლმე; ერთხელ ანთებული ცოდნა კი თავის-დღეში არა: მამიდამ შვილზედ გადადის, შვილიდამ შვილიშვილზედ, უფრო გადიდებული, უფრო გაძლიერებული.

«ცოდნა იმითია კიდევ კარგი, რომ იმან უფროს-უმცროსობა არ იცის. როგორც საყდარი, როგორც ეკლესია, როგორც თითონ ღმერთი, – ერთნაირად შეივედრებს, ერთნაირად შეიკედლებს, ერთნაირად იშვილებს ხოლმე ძონძებში გახვეულ გლეხსაც და ბუზმენტებით მორთულს თავადსაცა. ყველას ერთნაირად მოუხდება, ყველას ერთნაირად დაუშვენებს ხოლმე, ოღონდ კი კაცი გულმონდომილი და მოწადინებული მივიდეს ცოდნის კარამდისა.

«ახლა სად არის ეგ კარი? როგორ შევიძინოთ ის სანატრელი განძი, რომელსაც ცოდნა ჰქვიან და რომელიც ჩვენ და ჩვენს ქვეყანას ეგრე უჭირს? გამოვიდა ჩვენში ერთი გულმტკივნეული კაცი და გვითხრა: გზას მე გაჩვენებთო, თქვენ ოღონდ ხალისი გამოიჩინეთო. ის კაცი მარტო თავისის თაოსნობით, დაუღალავის მცდელობით, თავგამოდებით, მხნეობით შეუდგა ამ ძნელს საქმეს და თავის სასახელოდ და ჩვენდა საბედნიეროდ აქ, ამ სოფელში, აკვანი დადგა ცოდნის გასაზრდელად და ძუძუსათვის ძიძები მოიწვია. ის კაცი ილია წინამძღვარიშვილია, ის აკვანი – აი ის პატარა შენობაა, რომელიც ასე ლამაზად უხდება ამ პატარა სოფელს, ძიძები კიდევ მისგან მოწვეულნი ოსტატები არიან.

«აი, სად და ვისის ხელით აინთება აქ ის სასიხარულო სანთელი, რომლის სინათლეც მტერს დააფრთხობს და მოყვარეს გაახარებს და რომელსაც ცოდნა ჰქვიან. აი, ამ პატარა სახლიდამ გამოვა ის დიდი ღონე, ის დიდი ხერხი, ის ყოველთვის და ყოველგან გამარჯვებული ფარ ხმალი ადამიანისა, რომელსაც ცოდნა ჰქვიან. მაგას გამოიტანენ თქვენი შვილები და მოჰფენენ ქვეყანასა ჩვენდა სადღეგრძელოდ, ჩვენდა საბედნიეროდ.



## ბათუმს UNESCO-ს მუსიკის ქალაქის წოდება მიენიჭა

ბათუმს UNESCO-ს მუსიკის ქალაქის წოდება მიენიჭა. ამის შესახებ ინფორმაციას ბათუმის მერია ავრცელებს.

მათივე ცნობით, აღნიშნული ტიტულით, ბათუმი პირველი ქალაქია საქართველოში, რომელიც UNESCO-ს შემოქმედებითი ქალაქების ქსელს შეუერთდა.

**„აღნიშნული ტიტულის მინიჭება ბათუმის მერიის მიერ UNESCO-ში წარდგენილი განაცხადის საფუძველზე განხორციელდა, რაც გულისხმობს ქალაქის მზაობას, გაიზიაროს საუკეთესო გამოცდილება და გააძლიეროს თანამშრომლობა, რომელიც ხელს შეუწყობს შემოქმედებას და კულტურული ინდუსტრიების გაძლიერებას, ასევე გაზრდის მონაწილეობას კულტურულ ცხოვრებაში.**

**ამასთან, ქალაქის მუსიკის ინდუსტრიის წარმომადგენლებს შესაძლებლობა ექნებათ, მონაწილეობა მიიღონ იმ უნიკალურ პროექტებსა თუ ღონისძიებებში, რომლებიც მხოლოდ UNESCO-ს მუსიკის ქალაქის წარმომადგენლებისთვის არის ღია.**

**ბათუმთან ერთად, UNESCO-ს მუსიკის ქალაქებია: ლივერპული, გლაზგო, კინგსტონი, ოკლენდი და სხვა. UNESCO-ს შემოქმედებითი ქალაქების ქსელს მსოფლიოს კიდევ 48 ქალაქი, მათ შორის, თბილისი შეუერთდა. შემოქმედებითი ქალაქების ქსელი 2004 წლიდან არსებობს და ამჟამად, აერთიანებს მსოფლიოს 90 ქვეყნის 295 ქალაქს, რომლებიც მედიახელოვნების, მუსიკის, კინემატოგრაფიის, გასტრონომიის, დიზაინის, ფოლკლორისა და ხელნაკეთი ნივთების მიმართულებით, პროექტებს ახორციელებენ”**,- აღნიშნულია ბათუმის მერიის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

## რომელ რეგიონებში გამოვლინდა რძესთან დაკავშირებული დარღვევები?

სურსათის ეროვნულმა სააგენტომ, სურსათისა და წყლის შემოწმების მესამე კვარტლის შედეგები გამოაქვეყნა.

უწყების ცნობით, ბრუცელოზის შემთხვევები 58 შემოწმებული საწარმოდან 13- ში დაფიქსირდა. აქედან, 3 დმანისში, 1 მარნეულში, 1 თიანეთში, 2 წყალტუბოში, 1 დაბა ყაზბეგში, 2 შემთხვევაში ლოკაცია მითითებული არ არის.

უწყებამ, ასევე გამოიკვლია, წყლის და საკვების სინჯები სხვადასხვა კომპონენტებში, როგორიცაა სალმონელა, ლისტერია, პესტიციდები, ტრანსცხიმები და ა.შ. ანგარიშიდანვე ირკვევა, რომ შემოწმებული ობიექტიდან, დარღვევა პესტიციდებზე არცერთში არ აღმოჩნდა. ასევე, შემოწმებული 54 საწარმოდან, არცერთში არ აღმოჩნდა დარღვევა ტრანსცხიმების კომპონენტში. სალმონელა კი, 27 შემოწმებული ობიექტიდან მხოლოდ ორში, ერთ საშაურმესა და ერთ პარტია ქათმის ბარკალში დაფიქსირდა.

## გელა ჩარკვიანი გარდაიცვალა

ქართველი დიპლომატი, პუბლიცისტი, მწერალი, პედაგოგი და ტელეწამყვანი გელა ჩარკვიანი 82 წლის ასაკში გარდაიცვალა. ინფორმაციას მისი შვილი, თეონა ჩარკვიანი სოციალურ ქსელში ავრცელებს. „გარდაგვეცვალა ჩემი უსაყვარლესი და უძვირფასესი მამა. ჩვენც და ქვეყანამაც დაკარგა გამორჩეული ადამიანი - გელა ჩარკვიანი. - წერს თეონა ჩარკვიანი „ფეისბუქზე“. გელა ჩარკვიანის კარიერა საქართველოს ტელევიზიიდან იწყება, სადაც 1976 წლიდან 1994 წლამდე საავტორო გადაცემა მიჰყავდა. 1984 წლიდან 1992 წლამდე საქართველოს კულტურულ ურთერთობათა ვიცე-პრეზიდენტი იყო. 1980-იანი წლებში და 1990-იანი წლების დასაწყისში გელა ჩარკვიანმა მონაწილეობა მიიღო აშშ-ის, ჯორჯიის შტატის მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის ახლო კავშირების ჩამოყალიბებაში. 1992 წლიდან 2003 წლამდე ჩარკვიანი საგარეო პოლიტიკის საკითხებში, პრეზიდენტ შევარდნაძის მრჩეველი იყო. ჩარკვიანი 2005 წელს დიდ ბრიტანეთსა და ირლანდიაში საქართველოს წარმომადგენელი, ხოლო 2006 წლიდან ელჩი იყო. მან დიპლომატიური საქმიანობა 2011 წლის სექტემბერში შეწყვიტა. გელა ჩარკვიანი დაჯილდოებულია ღირსების ორდენითა, ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენითა და წმინდა გიორგის სახელობის გამარჯვების ორდენით.

## თურქეთში, ბათუმიდან 80 კმ-ში, აეროპორტი ზღვაში ააშენეს

თურქეთში, ბათუმიდან 80 კმ-ში, აეროპორტი ზღვაში ააშენეს საქართველო-თურქეთის საზღვრიდან 80 კილომეტრში, თურქეთში, ფაზარის რაიონში, სოფელ იეშილკოისთან ახალი აეროპორტის მშენებლობა დასკვნით ფაზაში შედის.

ახალი აეროპორტი თურქეთის ორი პროვინციის - რიზესა და ართვინის გასაყარზე აშენდა და მას „რიზე-ართვინის აეროპორტი“ ერქმევა. გამომდინარე იქიდან, რომ ორივე პროვინცია გეოგრაფიულად მთაგორიანია, აეროპორტი ზღვაში ააშენეს. მშენებლობისთვის 280 ჰექტარი ზღვა, 30 მ სიღრმეზე ამოავსეს. თურქულ მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, ზღვის ამოსავსებად 100 მლნ ტონა ქვა დაიხარჯა. „აეროპორტი მთლიანად ზღვაზეა აშენებული. შესაძლოა ეს ამ ტიპის პირველი აეროპორტია გარკვეული მახასიათებლების გამო. გამოვიყენეთ განსაკუთრებული საინჟინრო ტექნიკა. არ უნდა იფიქროთ, რომ ქვები უბრალოდ ჩავყარეთ. ჩვენი აეროპორტის ფსკერი მაქმანივით არის ამოქარგული,“ — ამბობდა რიზეს გუბერნატორი ქემალ ჩებერი მიმდინარე წლის თებერვალში „ჰაბერ თურქისთვის“ მიცემულ ინტერვიუში. ახალ აეროპორტს 3 ათასი მეტრი სიგრძისა და 45 მეტრი სიგანის ასაფრენი ბილიკი ექნება და ის ყველა სახის თვითმფრინავის მიღებას შეძლებს. აეროპორტი წელიწადში სამი მილიონი მგზავრის გადაყვანაზეა გათვლილი და ის მოემსახურება, როგორც რიზესა და ართვინს, ისე მთელი შავი ზღვის რეგიონს. ცალკე აღსანიშნავია აეროპორტის არქიტექტურა. რიზე-ართვინის აეროპორტის სანავიგაციო კოშკი ჩაის ჭიქის ფორმის იქნება, შესასვლელი ჩაის ფოთლის ფორმის იქნება, ხოლო აეროპორტის მთავარ შენობაში განთავსდება ჩაის მუზეუმი. აეროპორტის მშენებლობა 2017 წელს დაიწყო და 2021 წლის ბოლომდე უნდა გაიხსნას. თავდაპირველად ახალი აეროპორტის გახსნა 2020 წლის 29 ოქტომბერს იყო დაგეგმილი, თუმცა, ეს ვერ მოხერხდა. მიზეზად პანდემია და ამის გამო შემცირებული მუშახელი დასახელდა. თურქეთის მეგა პროექტის მშენებლობა 750 მილიონი თურქული ლირა დაჯდა.

**გამოსათხოვარი**

## ვისერგი (თენგიზ) გუმაშვილი



დედოფლისწყაროს სპორტულმა საზოგადოებამ ერთ-ერთი გამორჩეული წევრი, სპორტის ბერმუხა ვისერგი (თენგიზ)გუმაშვილი დაკარგა. 72 წლის ასაკში, ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, იგი გარდაიცვალა და ბევრ ადამიანს დასწყვიტა გული, რადგან გოლიათური აღნაგობის შიგნით მას სითბოთი, სიყვარულით და გულწრფელობით სავსე გული უფეთქავდა.

სპორტული მონაცემებით და მრავალმხრივი უნარით ის ბავშვობიდანვე გამოირჩეოდა და ერთდროულად თამაშობდა ფრენბურთს, კალათბურთს, ხელბურთს, მიღწევები ჰქონდა ბადროს ტყორცნასა და ბირთვის კვრაში, რაიონის რეკორდსმენი და შემდგომ პირველთარნიგოსანი იყო სიმაღლეზე ხტომაში, წარმატებული მოჭიდავეც გახლდათ. თბილისის ფიზკულტურის ინსტიტუტში, მძლეოსნობის ფაკულტეტზე სწავლისას სპორტის სხვადასხვა სახეობაში წარმატებას წარმატებაზე აღნევდა. ის მონაწილეობდა იმდროისთვის ისეთ იშვიათ სახეობაში, როგორიც რაგბი იყო. მას სპორტის ოსტატის წოდება აქვს მინიჭებული ჭიდაობის ოთხ სახეობაში: სამბოში, ძიუდოში, თავისუფალ და ქართულ ჭიდაობაში. 1972 წელს, ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ დაბრუნდა რაიონში და მას მერე, 2013 წლამდე, რაიონში სპორტის განვითარებას ემსახურა როგორც პედაგოგი და მწვრთნელი, თითქმის სამი ათეული წელი თავმჯდომარეობდა რაიონის სპორტსაზოგადოებას, მისი ხელდასმით ბევრი სახელოვანი გაიზარდა რაიონში. სწორედ ამიტომ მიენიჭა მას „სპორტის დამსახურებული მუშაკის“ წოდება და დაჯილდოვდა „ღირსების მედლით“. იყო დედოფლისწყაროს საპატიო მოქალაქე. წავიდა ჩვენგან სპორტის დიდი ქომაგი და ღვაწლმოსილი ადამიანი, რომლის ცხოვრების წესიც სამაგალითო იყო მისი პატიოსნებითა და საქმის ერთგულებით. დატოვა ორი შვილი, შვილიშვილები და შვილთაშვილები, რომლებსაც მუდამ ემახსოვრებათ ოჯახის ღირსეული თავკაცი. ბატონი თენგიზის ხსოვნა დარჩება ყველა სპორტსმენისა თუ სპორტის ქომაგის გულში. ღმერთმა ნათელი დაუმკვიდროს იქ, სადაც მართალნი განისვენებენ.

**დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერია და საკრებულო, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა ცენტრი, გაზეთ „შირაქის“ რედაქცია**

---

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა ცენტრის თანამშრომლები იუწყებიან

ვისერგი (თენგიზ) გუმაშვილის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ მის ოჯახს.

---

სოფლის მეურნეობის სამმართველოს ყოფილი თანამშრომლები: ნანა ჭიჭინაძე, მაყვალა ჯორკოშვილი, ნუნუ ბეგიაშვილი, მერაბ ფიროსმანაშვილი, ვახტანგ კიკილაშვილი, თამაზ ჯანიკაშვილი, უშანგი გონაშვილი იუწყებიან

გივი (გელურა) სულაშვილის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

---



სააქციო საზოგადოება „ტრანსპორტელის“ კოლექტივი იუწყება ამავე საზოგადოების წევრის, თანამშრომლისა და მეგობრის

ზაურ (ყაჩაღა) ჯავახიშვილის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

# „მე სანამ შენამდე მოვედი“

10 ნოემბერს, თავისი საკონცერტო ტურნეს „მე სანამ შენამდე მოვედი“ ფარგლებში დედოფლისწყაროს კულტურის სახლში მომღერალ თემურ თათარაშვილის კონცერტი გაიმართა.

თემურ თათარაშვილი — დაიბადა 1966 წლის 20 მარტს. დამთავრებული აქვს საქართველოს სახელმწიფო ტექნიკური უნივერისტეტი და ასევე ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი. პროფესიით ეკონიმისტი და ინჟინერია. როგორც თვითონ, ამბობს ენა ამოიდგა თუ არა, სიმღერა დაიწყო .

**1989 წელს მონაწილეობა მიიღო ფესტივალზე — „იურმალა” და ლაურეატის წოდება დაიმსაახურა.**

**1983-1985 წლებში მღეროდა ანსამბლში „ვია 75“.**

**1986-1996 წლებში მღეროდა ანსამბლში „ივერია” .**

**1996 წლიდან სოლო კარიერას იწყებს.**

**1999 წელს მომღერალს ღირსების ორდენი გადაეცა.**

პირველი სიმღერა სოლო მომღერლის რანგში გალხდათ „ნუ დამტოვებ მარტო“ (ოთარ ტატიშვილი ). გადაღებული აქვს 4 ვიდეორგოლი — „მე სანამ შენამდე მოვედი“, „მოვალ“ (დუეტი ეკა კვალიაშვილთან), „სიყვარულის სიტყვები“(დუეტი თიკა ხეცურიანთან), „გული ადამიანობს“.

შესრულებული აქვს დუეტები ცნობილ მომღერლებთან: ლელა წურწუმია, მანანა თოდაძე, ეკა კვალიაშილი, მაია ჯაბუა, ასევე ანსამბლთან „ქართული ხმები“, „ფორტე“ და სხვა.

ღონისძიება საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ორგანიზებითა და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს მხარდაჭერით გაიმართა.

# „ერთხელ.... მხოლოდ“

***პანდემიის მიუხედავად დედაქალაქში თეატრალური სეზონი გაიხსნა. რუსთაველის ეროვნული თეატრის დიდ სცენაზე სეზონი რობერტ სტურუას ერთ აქტიანი უსიტყვო სპექტაკლით „ერთხელ... მხოლოდ...“ პრემიერით გაიხსნა იდეის ავტორი და რეჟისორი რობერტ სტურუა.***

მუსიკალურ გაფორმებად თავად ბატონი რობერტის სპექტაკლში გამოყენებულია: ბახის, ბეთხოვენის, ვერდის, ჩაიკოვსკის, მალერის, მონბარტის, რაველის, ბერგის, ყანჩელისა და ფალიაშვილის მუსიკა, აგრეთვე ქართული ხალხური სიმღერები ჰამლეტ გონაშვილის შესრულებით.

სპექტაკლში მონაწილეობდნენ და თავი დაგვამახსოვრეს: მარინა კახიანმა, ქეთი სვანიძემ, ნინო არსენიშვილმა, ნიკა ქაცარიძემ და სხვებმა.

ვუყურებდი მარინა კახიანს და თვალწინ მედგა მისი კორდილია (სპექტაკლიდან „მეფე ლირი“) ისეთი მომხიბვლელი იყო ამ სპექტაკლში მარინა, როგორც კორდილია... მას წლებმა ვერაფერი დააკლო, პირიქით მის მიერ შესრულებულ როლებს უფრო მეტი ეშხი და სილამაზე შესძინა.

სპექტაკლს ფონად გასდევდა და დიდ ხიბლს მატებდა ჰამლეტ გონაშვილის სიმღერები: „დაიგვიანეს“, „წინწყარო“, და სხვა.

სპექტაკლის დასასრულს აჟღერდა ზაქარია ფალიაშვილის ოპერა „დაისი“-ს ფინალი მონაწილე მსახიობები ჩაბნელებულ სცენაზე ხელოვნური გაჩირიღდნებული სანთლებით ხელში იდგნენ მაყურებლის წინაშე და მქუხარე აპლოდისმენტებით აჯილდოვებდა თითოეულ მათგანს.

სახელდახელოდ კომენტარი ვთხოვე ჩვენს თანამემამულეს ვაჟა მამაიაშვილს: „რობერტ სტურუას სპექტაკლზე აბა რა კომენტარი უნდა გავაკეთო, მისი თითოეული წარმოდგენა და მათ შორის დღევანდელი სპექტაკლი შედევრია. იგი მსოფლიო დონის მაღალპროფესიონალი რეჟისორია. კონიაკი რაც უფრო ძველია, მით უფრო არომატულია, ასევეა დიდი ხელოვანი, ამ შემთხვევაში რობერტ სტურუა, რომელმაც კიდევ ერთხელ გაგვაოცა მაყურებელი. ამ დღეებში წავიკითხე ინტერნეტში, რომ ბატონი რობერტი მოსახლეობის გამოკითხვის შედეგად დასახელებულია 21-ე საუკუნუს პირველი ოცწლეულის საუკეთესო რეჟისორად ვულოცავ მას ამ აღიარებას, ვუსურვებ ჯანმრთელობას ამ პანდემიის პერიოდში, რომ კვლავაც მრავალი საპრემიერო სპექტაკლი შესთავაზოს თავის ერთგულ მაყურებელს“.

ნანა ჭიჭინაძე,

## ულოცავენ!

## თემურ ჩალაბაშვილი - 70

„და ჰაჰის ხელებს დავეურებ კრძალვით,
ვით საქართველოს ჰირველ ნუკას“...

ამ სტრიქონების ავტორს, ცნობილ პოეტსა და საზოგადო მოღვაწეს, ქიზიყელების საამაყო შვილს **თემურ ჩალაბაშვილს** ვულოცავთ საიუბილეო 70 წლისთავს. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს და კვლავაც შემოქმედებით წარმატებებს.

**საუკეთესო სურვილებით და სიყვარულით,**
დედოფლისწყაროს მერია და საკრებულო, დედოფლისწყაროს მწერალთა ასოციაცია „ფიროსმანი“, დედოფლისწყაროს ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაცია, ლიტერატურულ ალმანახ „ხორნაბუჯის“ და გაზეთ „შირაქის“ რედაქციები.

## ამინდი

## დედოფლისწყარო

| | ორშაბათი 15.11 | | სამშაბათი 16.11 | | ოთხშაბათი 17.11 | | ხუთშაბათი 18.11 | | პარასკევი 19.11 | | შაბათი 20.11 | | კვირა 21.11 | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე |
| | 12 ° | 3 ° | 6 ° | –2 ° | 4 ° | –4° | 5 ° | -3° | 8 ° | -2 ° | 9 ° | 0 ° | 9 ° | -1 ° |

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ჟუჟუნა ყანჩაშვილი (ჟურნალისტი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (საქმის მწარმოებელი).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „კოლორ პრესის“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 22-85;
598 72-18-72 (დირექტორი)
591 97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.